ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3226152

ნომერი: AR1496099

თარიღი : 18.04.2017

გაცემის თარიღი : 26.04.2017

გაცნობის თარიღი : 26.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჯავახეთის II შესახვევი , კორპუსი N12 , მიმდებარედ (ნაკვეთი 07/038)/ ქალაქი თბილისი , შესახვევი ჯავახეთის II , კორპუსი 12 , მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ვარკეთილის II მ/რ. კორპუსი N 16-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბადრი სექანია პ/ნ 01012010642
- თბილისი ვ.ბერიძის ქ.#6

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25.11.2016 წლის №2964226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 18.04.2017 წლის #AR1496099 განცხადებით მომართა ბადრი სექანიამ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25.11.2016 წლის №2964226 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 25.11.2016 წლის №2964226 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ჯავახეთის II შესახვევი, კორპუსი N12, მიმდებარედ (ნაკვეთი 07/038)/ ქალაქი თბილისი, შესახვევი ჯავახეთის II, კორპუსი 12 , მიმდებარედ / ქალაქი თბილისი, ვარკეთილის II მ/რ. კორპუსი N 16-ის მიმდებარედ, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი № 01.19.20.007.058), მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი და კომერციული) არქიტექტურული პროექტი, ხოლო 24.01.2017 წლის №3058227 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 25 იანვრიდან 2018 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 25.11.2016 წლის №2964226 ბრძანებაში ცვლილების შეტანას. კერძოდ, უთითებს, რომ 25.11.2016 წლის №2964226 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში უნდა ფიქსირდებოდეს შემდეგი მაჩვენებლები. საერთო ფართობი 3123.76 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 3113.66 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 1524.54 კვ.მ-ის ნაცვლად - 1527.36 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 291.62 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 289.33 კვ.მ. სარდაფის ფართობი -380.86 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს - ავტოსადგომის ფართობი 372.10 კვ.მ. კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობის 258.8 კვ.მ-ის ნაცვლად - 256.93 კვ.მ. კომერციული ფართობი უცვლელად - 667.94 კვ.მ.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შესწორებული მაჩვენებლები შესაბამისობაშია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25.11.2016 წლის №2964226 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი - 3113.66 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი - 1527.36 კვ.მ, საზაფხულო ფართობი - 289.33 კვ.მ. ავტოსადგომის ფართობი - 372.10 კვ.მ. (სარდაფის ფართობი -380.86 კვ.მ-ის ნაცვლად), კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი - 256.93 კვ.მ. სამსახურის 25.11.2016 წლის №2964226 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25.11.2016 წლის №2964226 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.